


අප්‍රාථමාණය (පැරණි) මෙවර්ෂයේ ජීවිතය



OMAR LANCHAVA, KUKURI TS

**Tskaltubo (Promo
Cave System**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
გრემოლ ტსულუკიძის სამიწის ინსტიტუტი
სპელეოლოგიის საზოგადოება



IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
VAKHUSHTI BAGRATIONI INSTITUTE OF GEOGRAPHY
GRIGOL TSULUKIDZE MINING INSTITUTE
SPELEOLOGICAL SOCIETY OF GEORGIA

OMAR LANCHAVA, KUKURI TSIKARISHVILI

Tskaltubo (Prometheus) Cave System

Tbilisi, 2016

თმარ ლახნაჰა, კჰკჰრი ჟიჰარიჰჰილი

**ჟჰალტუბოს (პროჰეთეს)
მღვიმური სისტემა**

თილილი – 2016

გასული ხაუკუნის 80-იან წლებში (1984) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ექსპედიციის მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. კუმისტავის მჭიდროდ დასახლებულ უბანზე მიკვლეულ იქნა მანამდე სრულყოფილად უცნობი კარსტული მღვიმე. საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მღვიმის მონახულების შემდეგ მისი ტურისტული მიზნებისათვის კეთილმოწყობა გადაწყდა (დადგენილება №109, 12.02.1985).

მომდევნო წლებში ჩატარდა მღვიმის კომპლექსური კარსტულ-სპელეოლოგიური გამოკვლევები. შესწავლილ იქნა მღვიმური სისტემის მორფოლოგიური, მორფომეტრიული, მორფოგენეტიკური თავისებურებები, გეოლოგიურ-სტრუქტურული პირობები, მღვიმური სისტემისა და მომდებარე ტერიტორიების ჰიდროგეოლოგიური პირობები, მღვიმის კლიმატი.

2012 წლის მაისში თანამედროვე სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილი მღვიმე გაიხსნა ტურისტებისათვის. გახსნის პირველივე წელს მღვიმე 80700 კაცმა მოინახულა, მომდევნო წლებში მნახველთა რიცხვმა მხოლოდ ევროპის ქვეყნებიდან 50000 კაცს გადააჭარბა.

In 80s of the last century (in 1989) a speleological expedition of the Vakhushiti Bagrationi Institute of Geography of Georgian SSR Academy of Sciences discovered previously totally unknown karst cave in the densely populated area of the Kumistavi village of the Tskaltubo municipality. After visiting the cave by the representatives of Georgia's highest authorities, the arrangement of the cave for tourist purposes was decided (Resolution №109, 12.02.1985).

In the following years the complex karst-speleological surveys of the cave was conducted. The morphological, morphometric, morphogenetic features, geological and structural conditions of the cave system as well as the hydrogeological conditions of the cave system and its adjacent areas and the climate of the cave have been studied.

In May 2012, the arranged at high modern standards cave was opened for tourists. 80700 men have visited the cave in the first year since its opening, while the number of the visitors in the following years exceeded 50000 men only from the European countries.

იბეჭდება ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით

რედაქტორი გეოგრაფიის დოქტორი
ნანა ბოლაშვილი

რეცენზენტები გეოგრაფიის დოქტორი
ზაზა ლევაია
საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი
გიორგი ნოზაძე

ნაშრომი მომზადებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (FR 218/9-280/13) პროექტის ფარგლებში

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016

ISBN 978-9941-13-527-9

შ ე ხ ა ვ ა ლ ი

საქართველო - ამოუწურავი ტურიტული რესურსების მქონე ქვეყანაა. მისთვის დამახასიათებელი თავისებური ბუნებრივი-გეოგრაფიული პირობებით, ღირსშესანიშნაობებით და კულტურულ-ისტორიული ძეგლებით საქართველო საკურორტო მეურნეობისა და მასობრივი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელსაყრელი რეგიონია.

საქართველოს მღვიმეთა ქვეყანასაც უწოდებენ. კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, სვენი ქვეყნის ფარგლებში, 300 კილომეტრიანი მონაკვეთი კარსტულ ზოდს უკავია, სადაც დღეისათვის 1400-მდე მღვიმე და შახტია რეგისტრირებული. კარსტული მღვიმეების შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

მღვიმეები - თავისებური ბუნებრივი ლაბორატორიაა, სადაც შესაძლებელია მრავალ, მეცნიერთათვის უცნობი ბუნებრივი პროცესების განვითარებაზე თვალყურის დევნება.

ბიოლოგებისათვის მღვიმე შესანიშნავი გარემოა, სადაც ახალი ფლორისა და ფაუნის აღმოჩენის და შესწავლის გარდა შეიძლება მუდმივი სიბნელის პირობებში ცხოველებისა და მწერების დეგრადაციის, ადაპტაციისა და რეგენერაციის პრობლემების გადაჭრა.

მრავალი მღვიმე პირველყოფილი ადამიანის ბუნებრივ თავშესაფარს წარმოადგენდა, რასაც მიწის ქვეშ მიკვლეული პირველყოფილი ადამიანების მატერიალური ყოფის ნაშთები (თავის ქალები, ყბისა და ბარძაყის ძელები, შრომის იარაღები და სხვ.) ადასტურებს. ეს კი **არქეოლოგთა, ისტორიკოსთა, პალეონტოლოგთა** დიდ დაინტერესებას იწვევს.

მხატვრებს, ხელოვნებათმცოდნეებს იხიდავს ძველი ქვის ხანის ადამიანის მღვიმური მხატვრობის „იშვიათი შედეგები“, კერძოდ, ფერების შესამების, საღებავის მასალის, პერსპექტიული გამოსახულების ხედვის თავისებურებანი;

ოკეანოლოგები პოულობენ მრუდოვან ახალოგებს ღრმაწყლიანი ორგანიზმებისა და მღვიმეების მობინადრეთა აღჩაგობაში;

ფიზიკოსებისათვის მღვიმე ხელსაყრელი მიწისქვეშა ლაბორატორიაა ზუსტი ოპტიკური ხელსაწყოების გასაშართავად, რომელთა მეშვეობითაც კოსმოსური გამოსხივების ცალკეული კომპონენტების რეგისტრაციას აწარმოებენ;

ექიმებისათვის ეგზოტიკური მღვიმეები ეს ადამიანების სასუნთქი გზების დაავადებათა ხინებული სამკურნალოებია; მღვიმეებში შესწავლება **კოსმოსური მედიცინის** ფრიად აქტუალური საკითხები (მარტოობისა და იდუმადების გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე და კვირუბები ადამიანის ბიოლოგიური აქტიუობის რიტმის ცვლილებებზე და ა.შ.).

უკანასკნელ ხანებში, მღვიმეებში არა ერთი ექსპერიმენტი ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რა გავლენას ახდენს მუდმივი სიბნელე და გარე სამყაროსაგან სრული იზოლაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და ფსიქიკაზე. მღვიმეები უკვე ჩადგა კოსმოსის აღვისების სამსახურში.

მღვიმის პერის იდეალური სისუფთავე, აღერგუნებისა და მავნე აირების არ არსებობა დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და ყოველგვარი სამედიცინო პრეპარატის გარეშე წარმატებით მკურნალობენ ბრონქიალური ასთმით, გულ-სისხლძარღვთა სისტემებით, რევმატიზმით, ნეფრიტით, ნევრალგიით და სხვა სნეულებებით დაავადებულ ავადმყოფებს.

და ბოლოს, დახვედეთ საქართველოს ხელსაყრელი ბუნებრივ-ღანდშაფტური თავისებურებანი, რეკრეაციული რესურსების, მათ შორის მღვიმეების სიუხვე. ყველა პირობას ქმნის რესპუბლიკაში მასობრივი **სპელეოტურიზმის** განვითარებისათვის. ამჟამად მხოფელიოში 800-მდე კეთილმოწყობილ მღვიმეს ყოველწლიურად 30 მილიონამდე მნახველი პეავს; ჩეხეთსა და სლოვენიაში 25 კეთილმოწყობილი მღვიმეა.

ხერბიასა და ხორვატიაში - 30, საფრანგეთში - 100, აშშ-ში - 250. ყოველივე ეს გვიხევენებს, რომ მიწისქვეშა ძეგლების ათვისებას დიდი სარგებლობის მოტანა ძალუძს.

ხვენი ქვეყნის კარსტულ ფენომენებს შორის ანალოგი არ აქვთ ახალი ათონისა და წყალტუბოს მღვიმურ სისტემებს. ახალი ათონის მღვიმე ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეორაზმის (ზურაბ ტატაშიძე, შალვა ყოფიანი, ბორის გურგულაძე, არსენ ოქროჯანაშვილი) მიერ გახული საუკუნის 60-იან წლებში იყო აღმოჩენილი. იგი პირველი მღვიმე იყო პოსტსაბტოურ ხივრცეში, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების დონეზე იქნა მოწოდებული. მღვიმის მიწისქვეშა დარბაზებს ყოველწლიურად 800 ათასი მნახველი პყავდა, ხოლო ექსპლუატაციით მიღებული წმინდა შემოსავალი 1 მილიონ რუსულ მანეთს აღარბებდა.

გახული საუკუნის 80-იან წლებში გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეორაზმმა (ხელმძღვანელი ჯუმბერ ჯიშკარიანი, თამაზ ქობულაშვილი, ამირან ჯამრიშვილი, ვახტანგ კაკანიძე, კორე ნივარაძე) სოფ. ენძისთავის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) მიდამოებში, ზღვის დონიდან 150 მ სიმაღლეზე მსაკვლას და შეისწავლა მეცნიერთათვის მანამდე უცნობი, რთული, მრავალშესახველდიათი და მრავალხართულიანი მღვიმური სისტემა. მას შემდეგ, რაც რუსუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მოინახულა მრავალფეროვანი ნაღვეთი ფორმებით შემკობილი მღვიმის ერთ-ერთი მონაკვეთი, გადაწყდა მისი კეთილმოწყობა ტურისტული მიზნებისათვის (დადგენილება N109, 12.02.1985). ამ დადგენილებით ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტს დაევადა მღვიმის კომპლექსური მეცნიერული შესწავლა, რაშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედაამიწის შემსწავლელი განყოფილების სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტებმა (გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო, მისხიელ ნოდის სახელობის გეოფიზიკის, ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ყოფილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამსართველოს, პედროტექნიკისა და მედიორაციის, სანიტარიისა და პოეიენის, ალერგოლოგიის, ასომისა და კლინიკური იმუნოლოგიის წყალტუბოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, პედრომეტსამსახურის და რუსუბლიკის სხვა უწყებათა საექსპედიციო რაზმებმა.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დამუშავდა მღვიმის კეთილმოწყობის პროექტი (ავტორები აკად. ვახტანგ დავითაია და არქიტექტორი დ. ხუჯაშვილი), რის შემდეგ დაიწყო მღვიმური სისტემის სამეცნიერო-კვლევითი და კეთილმოწყობითი სამუშაოები.

თაზი I. ზოგადი საკითხები

I. I. გეოგრაფიული მდებარეობა, გუნდობრივი პირობები

წყალტუბოს კორქველი მახვი მოქცეულია მდ. მდ. ცხენისწყელ-რიონის წყალგამყოფზე, რომლის სიგრძე 25 კმ, სიგანე 12-15 კმ, ფართობი კი 250 კმ²-ს შეადგენს. აქედან 150 კმ² ინტენსიურად დაკარსტულ ტერიტორიას უკავია, რომელიც ძირითადად მდ. სემისა და ყუმიხთავის ხეობებითაა წარმოდგენილი და დაბალმთის-ტყის ზომიერად-ნოტიო კლიმატის მქონე კარსტულ ღანდშაფტს მოეკუთვნება.

წყალტუბოს კეთილმოწყობილი მდვიმე ძირითად საექსკურსიო ტრასაზე მდებარეობს: თბილისიდან იგი 255 კმ, ქუთაისიდან – 16 კმ, ხოლო კურორტ წყალტუბოდან 6 კმ-ით არის დაშორებული (იხ. ტოპოგრაფიული რუკა).



კორქველი მახვიის ტერიტორიის რელიეფის ხასიათს კარსტული პროცესები განსაზღვრავს. გაშიშვლებული კორქვების მცირე სიმაღლე (8-45 მ) განაპირობა ზედაპირული კარსტული ძაბრების, კარული ზედაპირების, აგრეთვე ტყების, შახტების და მღვიმეების ფართო გავრცელება.

ქვაბულის რელიეფში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ყუმიხთავისა და ცხუნკურის მონაკვეთები გამოიყოფა, რომლებიც სამხრეთით მდ. ყუმის, დასავლეთით კი მდ. ცხუნკურელას ხეობითაა შემოხაზვებული. ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე გაედინება მდ. სემი, თავის მარცხენა შენაკად ცხუნკურელასთან ერთად. მიფსომეწერიულად ორივე ქვაბული თითქმის ერთდამავე დონეზე, 140-200 მ სიმაღლეზე მდებარეობენ. სემისა და ყუმიხთავს შორის წყალგამყოფი 250-280 მ სიმაღლეს აღწევს, ამპლიტუდა კი 60-150 მეტრს შეადგენს.

მაქსიმალური სიმაღლეები (650-720 მ) ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილისათვის არის დამახასიათებელი. საკვლევი ტერიტორიის ჩრდილოეთით გაწოლიდა მოგზაძი სერი ცხუნკურის ქვაბულის ფსკერიდან 240-300 მ სიმაღლეზე დაკარსტული ტერიტორიის დახრილობა ძირითადად სემისა და ყუმის წყალგამყოფზე 4-5⁰-ს, ხოლო ქვაბულის ფსკერისაკენ 2-3⁰-ს შეადგენს.

აეროფოტომასალების სქემებისა და დახრილობების რუკების შედარებით დადგინდა, რომ ზედაპირული კარსტული ფორმების სიხშირე უდიდესია ოდნავ დახრილ ზედაპირებზე და მცირდება რელიეფის დახრილობის ზრდასთან ერთად. შრეების დახრითი წოლა, უმეტესად ზედაპირის დახრილობასაც განაპირობებს, რაც გავლენას ახდენს არა მარტო ძაბრების და ცხუნკურისა და ყუმიხთავის ქვაბულების, არამედ აქ წარმოდგენილი კარული ზედაპირების მორფოლოგიაზეც. ყურადღებას იმეორებს ის ფაქტი, რომ დახრილ კალთებზე მოხუდი ატმოსფერული ნალექების სწრაფ გადინებას აქვს ადგილი, რის გამოც მახვიის ძლიერ დახრილ ფერდობებზე

ზედაპირული კარსტგანქმის მოვლენები ხუცტად არის გამოხატული. ბრტყელ ზედაპირებზე კი სურათი მკვეთრად იცვლება. ამის დასტურია ის, რომ ცხუნკურისა და უუშისთავის ჩრდილოეთით მდებარე ადგილ მელოურის ტერიტორია ფაქტურად ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული ფორმების სიუხვით გამოირჩევა. მიზრილი კარსტული ძაბრები და მათ ფსკერზე გახსნილი პონორები და მღვიმეთა შესასვლელები სწორედ მელოურის მოსწორებული პლატოსთვისაა დამახასიათებელი.

ასეთივე კანონზომიერება შეინიშნება მდ. სემის მარჯვენა ნაპირზე, გორაკებსა და ხერებს შორის მოქცეულ ქვაბულებში. აქ 1 კმ²-ზე 8-10 ძაბრია წარმოდგენილი. გამოკვლეული ტერიტორიის შუა ნაწილში რელიეფის უარყოფითი ფორმები 50-ს აღწევს, რომელთა სიგანე 200-500 მ-ის ფარგლებში მერყეობს, ფსკერზე კი ნაქცევით ანუ ჭათა ნასახელებია წარმოდგენილი. შედარებით ქვედა ზოლში, განსაკუთრებით წვალტუბოს მღვიმური სისტემის აღმოსავლეთით, კარსტული ძაბრების ზომები 50-60 მ, ზოგიერთ ადგილებში 100-120 მ აღწევს.

მდ. სემის მარცხენა მხარეს, მელოურის დასავლეთით, სემის ხეობიდან 1 კმ-ის დაშორებით, 400 მ სიმაღლეზე მცირე ხიდრმისა და სიგანის ზედაპირული ფორმებია განვითარებული. მსგავსი სიტუაცია შეინიშნება მდ. სემის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 600 მ სიმაღლეზე, სოფ. ცხუნკურის ჩრდილოეთით 624 მ სიმაღლეზე მდებარე პლატოს მსგავს მაღლობებზე.

მაროლაკ. მელოურის ვაკე ზედაპირებზე ნასახული უარყოფითი ფორმები აქ მოხული წვიმის და განსაკუთრებით თოვლის მინარე წყლების ნამდვილ რეზერვუარებს წარმოადგენენ. გაზაფხულის თავსება წვიმების დროს წყლის ნაკადების მიერ ნიადაგის მკვებავი ნივთიერებებს აქტიური ჩარეცხვა მიმდინარეობს. ამის ნათელი დასტურია ოფიკოს ქვაბული და მის ფსკერზე გახსნილი მღვიმე-ესტაჟელი, რომელიც მელოურის პლატოზე შთანთქმული ნაკადების განტვირთვის ძირითადი არეალია.

მდ. სემის ხეობა ორ დამოუკიდებელ ერთეულად შეიძლება დაიყოს. პირველი – ხეობის მსგავსი მონაკვეთი სოფ. ცხუნკურის აღმოსავლეთ გარეუბნამდე. აქ ხეობის ფსკერი კარსტული მახვიის გრუნტის წყლების დონეზე მაღლა მდებარეობს. ხეობის ხიდრმე დასავლეთით 100-120 მ-ია, ხეობის ზედა ნაწილში 50-70 მ, ზოგიერთ უბანზე უფრო ფართოა. სემის ხეობის თითქმის ორივე ფერდობი შერეული კოლხური ტყითაა დაფარული. სადაც ფართოდ არის წარმოდგენილი წაბლი, მუხა, წიფელი, თხმელი, ბზა, პონტური ნაძვი და სხვ. ძლიერი დახრილობისა და ხშირი მცენარეული საფარის გამო ხეობის კალთები პრაქტიკულად მიუდგომელია. ამ მონაკვეთზე მდ. სემს თითქმის არც ერთი შენაკადი არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით 382 მ სიმაღლეზე შემდინარე მომცრო ნაკადს, რომლის წყალი მდ. სემს მიწისქვეშა არხებით შეერთვის. სამაგიეროდ მდ. სემის ხეობისათვის დამახასიათებელია პონორების სიუხვე, რომელთა ოდენობა აღნიშნული მონაკვეთისათვის (კარლო დიფონავას მონაცემებით) 13-ს აღწევს. ხეობის გასწვრივ პროფილს ფსკერის არათანაბარი ვარდნა ახასიათებს. ამპლიტუდა 1,1 კმ-ით დაშორებულ ორ წერტილს შორის 70 მეტრია. ხეობის ამ მონაკვეთზე ხშირია სხვადასხვა სიდიდის და ფორმის ნაკეტილი ზედაპირები, ე. წ. გურები, რომლებიც მომცრო კაშხალებითაა გადაკეტილი.

მეორე მონაკვეთი – (სოფ. ცხუნკურიდან დასავლეთით ტერიტორიის საზღვრებამდე) შედარებით ფართო, დატერასებული ფერდობებით არის წარმოდგენილი. ხეობის სიგანე ფსკერზე 100-120 მ-დან 450-550 მ აღწევს. ხეობა ასიმეტრიულია, მარჯვენა ფერდობი შედარებით მაღალია (200-250 მ), მარცხენა 50-60 მ არ აღემატება ტერასებისა და ფერდობების ქვედა ნაწილები ცხუნკურისა და უუშისთავის მოსახლეობის ბაღ-ბოსტნებს უკავია. აქ კალაპოტის სიგანე 5-12 მეტრია, წყალი გამჭვირვალე ტერასები 1,5-2,5 მ სიმაღლის საფეხურებათაა დაყოფილი და უმეტესად ბაღაჩოვანი და ბუჩქნარი მცენარეულობით არის დაფარული. ქვედაზე დაბალი პიფსიმეტრიული საფეხურის მქონე ხეობის ეს მონაკვეთი ცხუნკურის ქვაბულის დაბოლოებას წარმოადგენს და მკვეთრად გამოხატული აკუმულაციური პროცესებით ხასიათდება.

1.2. შხსსავალიდოების მოკლე ისტორია

წყალტუბოს კორქველი მახვი დიდი ხანია მკვლევართა ექსპედიციების ცენტრშია მოქცეული. სხვადასხვა წლებში მახვიის ტერიტორიაზე სპელეოლოგიურ გამოკვლევებს აწარმოებდნენ ცნობილი გეოგრაფები და გეოლოგები: დევან მარუაშვილი, პეტრე ჭაბუკიანი, გრიგოლ დევიდარიანი, გიორგი მოწეხიძე, სურამ ტატაშიძე, შალვა ყოფიანი, გიორგი ჩანგაშვილი, ვივი გიგინეიშვილი, რუსო ჯანაშვილი, ოთარ სხეიძე, ჯუმბერ ჯიშკარიანი, ლადო ქაღდაძე და სხვ.

წყალტუბოს კორქველ მახვის პოპულარობა მოუტანა ჯერ კიდევ 1925 წელს ცნობილი გეოგრაფისა და მხარეთმცოდნის პეტრე ჭაბუკიანის მიერ შეკვლევულმა სათაფლიის კარსტულმა მღვიმემ, რომელიც პირველი კუთილმოწეობილი სპელეოტურისტული ძეგლი გახლდათ საქართველოში. ამით პეტრე ჭაბუკიანმა დიდი ღვაწლი დახდო ხუცის ქვეყანაში სპელეოლოგიის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეს.

1933 წელს მანვე სათაფლიის მღვიმის დასაველეოთი მერგელოვანი კორქვის შრეებზე გადაშენებული ქვეწარმავლების - დინოზავრების ნაკვალევი აღმოაჩინა, რითაც უდიდესი სამხახური გაუწია ქართულ გეოლოგიურ მეცნიერებას. ამ აღმოჩენებით სათაფლია სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა.

1983 წლის ზაფხულში კარსტოლოგია-სპელეოლოგიის დაბორატორიის სპელეორაზში (ჯუმბერ ჯიშკარიანი, კარლო დიფრანკა, თამაზ ქობულაშვილი) გეგმიურ სპელეოგამოკვლევებს აწარმოებდნენ წყალტუბოს კორქველ მახვიზე ექსპედიციის ბოლო დღეებში ჯგუფი ოფიცის ტერიტორიაზე „ორპირის“ გამჭოლი მღვიმით დაინტერესდა, რომლის გამოხასყენების მიღმა მდებარე უცნობი მღვიმის, 80 მ სიგრძის დერეფნის ფსკერზე, მოწის ქვეშ შემოვარდნილი ნაკადების განტვირთვის ფართო პირობი მოიხადა. მისი გამოკვლევა მამდევნო წლისთვის გადადეს.

1984 წლის ზაფხულში კი მანამდე უცნობი, ნაწილობრივ თხილია და წყლის ნაცობით გამოვსებული სრულიად ახალი, მრავალფეროვანი ნაღვენით ფორმებით შემკული მოწისქვეშა დერეფნების აღმოჩენის პატივი წილად ხვდა სპელეოლოგთა ჯგუფს ჯუმბერ ჯიშკარიანის, ამირან ჯამრიშვილის, თამაზ ქობულაშვილის, ვახტანგ კაპანაძის და კორე ნიჟარაძის შემადგენლობით.

მღვიმე წარმოადგენს სუბორიზონტული, დერეფნული ტიპის ხიდრეც, ძირითადი მაგისტრალის ხივრძე, რომელსაც კუთილმოწეობითი საშუქაოები შეეხო, 1060 მეტრია. კორქვების სიმძლავრე, რომლის ქვეშაც მოწისქვეშა დარბაზებია გამოშუქავებული 8-52 მეტრია, საშუალო კი 40 მეტრს შეადგენს. მღვიმეს ორი შესასვლელი გააჩნია. ერთი - პირიზონტული, კანიონისებურ ხეობის ფსკერზე, ზღ. დ. 147 მ-ზე, მეორე - შედარებით ძნელად ხვადი, ვიწრო, სკამოვ დახრილი ფსკერით - კარსტული ძაბრის ფსკერზე, ზღ. დ. 160 მ სიმაღლეზე იხსნება.

ინსტიტუტის დირექციის თხოვნით ახლად აღმოჩენილი მოწისქვეშეთი წყალტუბოს ქალაქკომისა და აღმასრულებელი კომიტეტების მაშინდელმა თავმჯდომარეებმა: ვივი აბზიანიძემ და მირზა ქორქაშვილმა მოინახულეს. რამდენიმე დღის შემდეგ ამ აღმოჩენით რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებიც დაინტერესდნენ. 1984 წლის 8 აგვისტოს მღვიმეს დეტალურად გაეცნენ ელვარდ შევარდნაძე და ჯუმბერ პატიაშვილი.

მღვიმემ მზახველებში უდიდესი მოწონება დაიმსახურა, გამოითქვა მოსახრება ახლად აღმოჩენილი მღვიმური სისტემის კუთილმოწეობის თაობაზე. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი დაინიშნა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორად.

**თავი II. წყალტუბოს მღვიმური სისტემის
ორმირების კირობები და ფაქტორები**

**II. I. წყალტუბოს კირკვული მახვილის
გაორმირებლობის ტიპი თავისებურებაში**

წყალტუბოს მღვიმური სისტემა განლაგებულია ოკრიბის ტექტონიკური თაღის დასავლურ ნაწილში. მღვიმური სისტემის ძირითადი არტურია ვალახურ ოროფაზაშია ხასახული, ხოლო პასადენურმა ოროფაზამ მნიშვნელოვნად გაართულა მღვიმური პიდროსისტემის მორფოლოგია. შექმნა რა სიცარიელებების რთული ლაბირინთოვანი სისტემა. დასახელებულ პერიოდში ურგონული კორქები უკვე გათავისუფლდნენ ვულკანოგენური („მოვარის“ წყება) ჯავშნისაგან და კარსტულმა პროცესებმა იწყეს ინტენსიური გააქტიურება.

მღვიმური სისტემის განვითარებაში გარკვეული როლი სამკურაღის ქედის მონოკლინურმა აგებულებამ, და განსაკუთრებით. ტურონ-სენომანურმა ვულკანოგენურმა ჯავშანმა ითამაშა. ამ თვალსაზრისით წყალტუბოს კორქული მახვი უნიკალურია საქართველოს სხვა დანარჩენ კორქულ მახვიებს შორის (ნახ. 1).




ნახ. 1. წყალტუბოს კორქული მახვილის გაორმირებლობის ტიპი

ტერიტორიის თანამედროვე კორქული რელიეფი, ვულკანოგენური წყებების კარსტულ პროცესებზე შემოქმედების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს როგორც ხედაპირული, ისე მიწისქვეშა კარსტული ფორმები ძირითადად ვულკანოგენური ქანების გადარეცხვის შედეგად წარმოიქმნენ. ეროზიულ-დენუდაციური შემოქმედების შედეგად გადარეცხვის ყველაზე მატულობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ხდება როგორც ვულკანოგენური ისე, მოლიანად

მდღვერი ცარცული ფენის გატანა და ხედაპირზე გამოდიან იურული ნალექები, რომლებშიც უკვე იწყება ეროზიული ქაბულების ჩახახვა. მდინარეთა განტვირთვის არეალი ხშირად ვულკანოგენური და კარსტული ნალექების კონტაქტს ემთხვევა, ხოლო სამხრეთ-დასავლური ბეჭდისებური ვულკანოგენური ბარიერი ტიპურად ეროზიული რელიეფით ხასიათდება.

წყალტუბოს კორქულ მახვილზე განვითარებულია რელიეფის შემდეგი განვტური ტიპები: ტექტონიკური, ეროზიული, კარსტული (ნახ. 2).

ტექტონიკური რელიეფი. როგორც ცნობილია წყალტუბოს კორქული მახვი წარმოადგენს ოკრიბის ტექტონიკური თაღის (ვალახური ოროფაზა) დასავლურ პერიფერიას და გართულებულია ღვედის, გულაკურის, ღვედურის (პასადენური ოროფაზა) და სხვა რღვევებით (Геология СССР, т. X, 1964). ტურონ-სენომანის შრეებში შემოკრილია ბახალტური დაიკები, რომლებიც არაიშვიათად რელიეფის დადებით ფორმებს ქმნიან. თავის მხრივ, ეს დაიკები აკონტრილებენ მიწისქვეშა სიცარიელებების მიმართულებებს, და შესაბამისად, მათ ორიენტაციას (Липонова, 1985).



ნახ. 2. წყალტუბოს კირქული მასივის გასწვრივი სქემატური ვარიანტი

1. ტურინ-სენომანურ ვულკანოგენურ ნაღველებზე განვითარებული ეროზიული ბორცვები და სერები
2. კარსტული რელიეფი (კარსტულ ნაღველებზე)
3. ეროზიული რელიეფი იურულ ნაღველებზე
4. სტრატოგრაფიული ხარისხის სავარაუდო შედგარება

ღვედის რღვევის მიერ წყალტუბოს კირქული მასივის ჩრდილო ნაწილი 120 მ-ით იქნა აზიდული. ასე მაგ., ტექტონიკურად დაბალი ნიხელას საფეხურიდან (930-960 მ) ნიხლიბჯვარის ეროზიულ-დენუდაციური შიხილი, აზიდულია 1077 მ სიმაღლემდე რღვევის გავლენა 15 კმ მანძილზე შეინიშნება. სხენებულ რღვევას შეესაბამება მდ. სემის სათავეები, სადაც მდინარის ხეობა მანამდე არსებული სუბგანედური მიმართულებიდან მკვეთრ ბრუნს აკეთებს. დიდვაკის მონოკლინურ პლატოზე რელიეფის მსხვილი ფორმები დღემდე ინარჩუნებენ რღვევამდელ მიმართულებას (ვიწრო წყალგამყოფები და ფართო ბრტყელძირიანი ხეობები). აღნიშნული ხეობების ძირზე არსებული იურული ასაკის ალუვიურ-დელტუიური ნაფენები და ასევე არაკარბონატული ნიღაგური სავარი იმის დასტურია, რომ მასივი ვრცელდებოდა უფრო შორს აღმოსავლეთით და შემდეგ მოხდა მათი გადაფარვა ვულკანოგენური წყებით. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეგიონის აღმოსავლეთ კიდეზე არსებობდნენ ეროზიული ქვაბულები, რომლებიც იურული ასაკის ნაფენებში იყვნენ წარმოდგენილი ალუვიონის სახით. მონოკლინურ ფერდობზე გამდინარე ნაკადებმა ღვედის რღვევის პარალელურად სამხრეთისაკენ იწვეს დინება, ეროზიის სიღრმე კი 500 მ აღწევს.

ღვედის და ნაწილობრივ გულავერის რღვევის გავლენა კარგადაა გამოხატული მდ. სემის და უემის წყალგამყოფზე, მელოურის და დიდვაკის პლატოზე. მდ. სემის კანონში საკმაოდ ხშირია ტექტონიკური აშლილობები. ღვედის რღვევის კიდევ ერთი შედეგია შტილიტაის გრანდიოზული მეწვერი (სიგრძე 1,5 კმ; სიგანე 2,0 კმ; მოცულობა 0,7 კმ³), რომელმაც სუბგანედური მიმართულების ქვაბული თითქმის მთლიანად ამოავსო მეწვერული მასა წყალგამყოფზე გადაედინება პიესომეტრიულად უფრო დაბლა განლაგებულ თავსაბანელას ქვაბულში. მეწვერის ზედაპირზე ფართოდაა გავრცელებული კლასტოკარსტული მოედენები.

ასევე ტექტონიკური დისლოკაციის ზემოქმედებით წარმოიქმნა და რღვევებით მკვეთრად გამოიხა საირმის ბლოკი. მდინარეები ამ ბლოკს ევლეა მხრიდან გარს უვლიან, მდ. სემის კანონთან მიახლოებისას მიწის ქვეშ იკარგებიან და მდინარის მშრალი კალაპოტის ქვეშ გავდინებიან, შემდგომ წყალტუბოს მღვიმური სისტემის მიმართულებით მიედინებიან.

მელოურის პლატოზე დანაპრაღიანების ვულკანი ქრება, თუმცა რღვევების გასწვრივ ჩახახულია მცირე წაგრძელებული ორმოები და მიწისქვეშა ფორმები.

მნიშვნელოვან მორფოლოგიურ ერთეულებს ქმნიან ტურინ-სენომანური ინტრუზიები. ტერიტორიის მსხვილი ინექციები რელიეფში განცალკევებულ ბორცვებს, ხოლო

მცირე ინექციები რელიეფის უარყოფით ფორმებს წარმოქმნიან და ისინი ხშირად განსახლებრავენ მოწიქვეშა პიდროქსელის მიმართულებასაც.

პროზონული რელიეფი. აღმოსავლეთიდან წყალტუბოს კორქველი მახვი იურული ნაღველების ეწრო ზოლით, დასავლეთიდან კი, ვულკანოგენური ქანებითაა შემოსახლდრული. ეს სივრცე ინტენსიური ეროზიის არუნაა.

ტურონ-სენონური ვულკანოგენური წყებების გავრცელების პალეოგეოგრაფიული ასპექტი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე თანამედროვე გამოთქმულ მოსახრებას ადასტურებს სხვადასხვა სიმაღლეებზე გავრცელებული არაკარბონატული ნიადაგები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია მელოურის პლატოზე. კულაურის ქედის ხამრეთ კალთებზე, მდ. მდ. ხემისა და უუმის წყალგამყოფზე და ა. შ. ისინი ტურონ-სენონური შრეების გამოფიტვის რელიქტებია. სამგურალის ქედის მონოკლინური აგებულება ხელს უწყობდა წყალგამყოფ მონაკეთზე დენუდაციურ-ეროზიული პროცესების გაძლიერებას და ამით კორქველი ნაფენების სრულ გადაადგილებას. აღნიშნული მიხეხით ზედაპირზე გამოდიან იურული ნაღველები და განვითარებულია ტიპური ეროზიული რელიეფი, ჩაკეტილი ქვაბულების შექმნით. ასეთი ქვაბულები დასავლეთის მხრიდან ურგონის კორქველითაა შემოსახლდრული. ეროზიული ქვაბულების მდინარეები ციკაბო კლდეების ძირში განლაგებულ პონორებში იკარგებიან. გაივლიან რა მოუღ კორქველ მახვის, ისინი კოლხეთის პიდროგეოლოგიურ აუზში გამოფინებიან. სამგურალის ქედის მონოკლინურ ფერდობზე მდინარეები ქმნიან ხუბაორიზონტული მღვიმური სისტემების ფართო ქსელს, რომელთა სიგრძე 2-4 კმ აღწევს (Липонава, 1984). მათ შორის გამოირჩევა ბღურის და დიდღვლის ვალერეთა სისტემა, მელოურის და სამგლის პლატოების მღვიმური სისტემები. ბღურის ამ მსხვილი (2,6 კმ) ეროზიული ქვაბულის წყლები სათავეს უდებენ მდ. უუმს. დღიანას წყალგამყოფზე და თფიქოს და წყალტუბოს მღვიმეების ფარგლებში განლაგებული აღუეიონი იმაზე მოუთითებს, რომ ამ მღვიმეთა გამომუშაება უწყვეტად ზევიდან ქვეით წყალქვეშა წყლების ვერტიკალური ცირკულაციის შესაბამისად მიმდინარეობდა. მდ. უუმის თანამედროვე კალაპოტში არსებული პონორები, ქვიშა-თიხიანი ნაღველები და უუმი-დღიანას ამფითეატრის სათავეების მორფოლოგია იმის დასტურია, რომ წყალტუბოს მღვიმური სისტემისა და მდ. უუმის კალაპოტის ქვეშ არსებობს ერთი ან რამდენიმე მოწიქვეშა ხართული. დღეისათვის ეს ხართულები მღვიმური აღუეიონით არის ამოვსებული, რასაც ხელს უწყობდა მდ. გუბისწყლის შენაკადების რეგრესიული აკუმულაცია, რის მიხეხადაც თავის მხრივ მდ. მდ. როინისა და ცხენისწყლის გამოხდების აღუეიური კონუსები (ე. წ. მარაობი) შეიძლება სათვადოს (Липонава, 1985).

დასავლეთით განლაგებული „მოაერის“ ვულკანოგენურ წყებაში ასევე ტიპური ეროზიული რელიეფია განვითარებული. ეროზიული ხაჭრა აქ თვით ეროზიის ბაზისამდე დასული (მდ. გუბისწყლის კალაპოტი). აღხანიშნავია, რომ მდ. გუბისწყალი და მისი შენაკადები, მდ. როინისა და ცხენისწყლის კალაპოტებზე 70-80 მ-ით დაბლა მდებარეობენ, რისი მიხეხიცაა მსხვილი მდინარეების კალაპოტებში რეგრესული აკუმულაციის ინტენსიური განვითარება.

კარსტული რელიეფი. წყალტუბოს კორქველი მახვი (ფართობი 95,კმ²) დასავლეთ საქართველოს კარსტული ზოლის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს დაბალი კარსტის განვითარების კლასიკურ მაგალითს. მახვი იყოფა დიდვაკის მონოკლინურ პლატოდ, სამგურალის მონოკლინურ ქედად და წყალტუბოს ქვაბულების სისტემად, რომელიც თავის მხრივ, მანამდე ნახსენები რელიეფის ფორმების ძირში არიან განლაგებულნი.

პირველი ორი გეომორფოლოგიური ერთეული პოვსომეტრიულად ქვედაზე მაღლა ვითარდება და პალეორელიეფის მოეხილებს წარმოადგენენ. დიდვაკის პლატო (700-800 მ) ადრევე მოწიქდა ინტენსიური ეროზია-დენუდაციის არეს, ამიტომ ძირითადად შემოინახა მისი ადრინდელი სტრუქტურული ხაზე. თავდაპირველი რელიეფი ძლიერაა ნახსენევილი სამგურალის ქედზე, სადაც ინტენსიური ეროზია-დენუდაციის შედეგად

მოლიანად მოიხსნა კირქვის ფენა და მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები შემორჩა მწვერვალებისა და ნახეობების სახით (მ. კარიობის ჩრდილო ვერტიკალური კედელი კანიონის ფრაგმენტია, ხოლო მის ძირში შემონახული მხოლოდ კირქვისაგან შემდგარი მსხვილი ალუვიონი, დიდი პალეოშიდინარის კალაპოტი და ა. შ.). ეროზიული მოქმედება შემდგომშიც გრძელდება (პეტროგრაფიულად ჭრელი ალუვიონი ოფიტის უნაგირაზე), ოღონდ უფრო ნაკლები მასშტაბით. ეროზიული პროცესების მკვეთრი შეცვლა დენუდაციით (კირქვების ინტენსიური დაკარსტვა) გამოწვეული უნდა იყოს ვულკანოგენური ჯაგშნის გადახსნით.

ხემოხსენებულ რელიეფის დადებით ფორმათა ფონზე, განსხვავებული ადგილი უჭირავს წყალტუბოს ქვაბულს. მის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა დიდი სიმძლავრის ვულკანოგენური წყებების რკალმა, რომლის შედეგად სამგურალის ქედთან წამოსული მიწისქვეშა წყლები აქ იურიდნენ თავს, აწვდებოდნენ ამ ჯებირს და მიემართებოდნენ სამხრეთისაკენ. წყლების თავმოყრა იწვევდა ეროზია-დენუდაციის გააქტიურებას და რელიეფის დადაბლებას. ეს რკალი ვერცერთმა მდინარემ ვერ გაარღვია. საკრტილი პედროგეოლოგიური აუზის პირობებში ხდებოდა პედროდინამიური ზონის თანდათანობითი გადაადგილება ქვედა პირობებში, შესაბამისად რელიეფის დადაბლება. ეს პროცესები შეფერხდა მას შემდეგ, რაც ეროზიის ბაზისი დავიდა კარიობის ბაზალტურ შრეპარღვამდე. ამან კი თავის მხრივ წყალტუბოს ქვაბულის ხედა მონაკვეთში მყარი მასალის დაგროვება გამოიწვია. შრეპარღვის ბარიერულმა ეფექტმა გამოიწვია წყალტუბოს ტბის შეზუბება (მდ. წყალტუბოსწყლის პედროგეოლოგიური აუზის ეროზიის ბაზისი).

სამგურალის მონოკლინურ ქედს დიდკაის პლატოსთან შედარებით დაბალი პოფსომეტრიული მდებარეობა უკავია (550-600 მ) და უფრო დაბალი რანგის რელიეფის ფორმებს შეიცავს. ესენია:

1. **დეგრადირებული პალეოქვაბულები** წყალგამყოფებზე არსებული კირქვული შთენილებით და წყალშემკრებ აუზში განლაგებული მნიშვნელოვანი ოდენობის კირქვული დოდეებით.

2. **მელოურის ბრტყელზედაპირიანი პლატო**, რომლის მიწისქვეშა პედროქვული მკიდროდაა დაკავშირებული წყალტუბოს მღვიმურ სისტემასთან. არაკარბონატულ ნიადაგზე დადგენილი მძლავრი ალუვიური ფენა იმაზედ მიუთითებს, რომ ის ვულკანოგენური ჯაგშნის ეროზიულ შთენილს წარმოადგენს. პლატოზე არსებული დენუდაციური შთენილები (კონჯლა, ჭალისთაუი და სხვ.), ასევე მრავალი მსხვილი ძაბრები (ორმუხა, ხილკოტა, მონა) და მღვიმეები კარსტული სიცარიელებების გავრცელების ფართო მასშტაბზე მიუთითებენ. მღვიმეების განვითარებაში ასევე მნიშვნელოვანი როლი ტექტონიკას მიეკუთვნება.

3. მელოურის პლატოს გენეტიკური ანალოგია **სამგლია-ბლების ჭალის კირქვული პლატო**, რომელიც თავისი არსებობის შენარჩუნებას დაიკებს (მარდვისებური გეოლოგიური სხეული ნამრალში, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ამგებელი ქანებისაგან) უნდა უმადლოდეს. დევედის რღვევის გავლენა აქ უმნიშვნელოა, შესაბამისად აღდგენილია მიწისქვეშა სიღრუეების დასავლური მიმართულება და კავშირი წყალტუბოს მღვიმურ სისტემასთან ექვს არ იწვევს.

4. მდ. მდ. ხეშისა და ეუმის წყალგამყოფი ძლიერაა დაკარსტული მის ცენტრალურ ნაწილში (მსხვილი ძაბრები, შავი ტბა, ჭალა, საწურბღია, შალამოური, კოიჭალა და სხვ.). ტომოგრაფიული ზედაპირი კი მკვეთრად დაბალია. ასეთი დადაბლება შეინიშნება აგრეთვე დუნელას ტაფობში. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ეს დადაბლებები ფაქტურად წრფივად განლაგებული წაგრძელებული და **დახურული ფორმის ხეობებია** უგლავას მსხვილ და საკრტილ ხეობაში დაფიქსირებული წყლიანი ჭა, ასევე ხიფანებით გამოვსებულ მღვიმესთანაა დაკავშირებული.

5. გარკვეულ ინტერესს წარმოადგენენ **ორიარუსიანი ამფითეატრები**. ასეთი მორფოლოგიური ერთეულები ხშირად ბრტყელდირიანია და ერთმანეთისგან ციცაბო კედლებით არიან გამოყოფილნი. თითოეული ამფითეატრის ფსკერზე შახტები და ჭებია წარმოადგენილი. საფეხურებრივად ხასიათდებიან ასევე ქვაბულები, ძაბრები და

მიწისქვეშა გაღვრვები. ეს გარემოება დაკავშირებულია ტექტონიკურ იმპულსებთან და შესაძლებელია მათი კორელირება მიმდებარე ტერასებთან.

6. მიწისქვეშა სისტემების ფორმირებაში დიდი როლი ეკლერ ტექტონიკურ იმპულსებს მიეკუთვნება. მაგ., სემის კანიონის გასწვრივ 50-70 მ შეფარდებით ხიმაღლეზე განლაგებული სხვადასხვა ზომის ქვაბულები თავიანთი ქვედა ნაწილებით კანიონისაგან ვიწრო თხემებით არიან გამოყოფილი. დასახელებული ქვაბულების მდინარეები თხემების ძირში განლაგებულ პირობებში იკარგებიან. ასეთ პირობებში გაუჩინარებული ნაკადები მდ. სემის კალაპორტისქვეშ გადინების შემდეგ წყალტუბოს მღვიმური სისტემისკენ მიემართებიან.

ამგვარად, წყალტუბოს მღვიმურ სისტემაში იკრებება როგორც სამგურალის ქედის, ისე დიდვაკის პლატოს ნაკადები, რომელთაც ემატება მდ. სემიდან გაუჩინილი ნაკადებიც.

წყალტუბოს მღვიმე ოფიჭოს ქვაბულის ფსკერზე იხსნება, რომელიც კორქველი ჭურის ჩამოქცევის შედეგადაა წარმოქმნილი. როგორც ჩანს „ბახალტურმა ინექციებმა“ (ბარიერული ეფექტი) აიძულეს მიწისქვეშა წყლები ერთ ადგილზე მოქცეულიყვნენ და ამით ეკონტროლებინათ მთავარი არტერიის ზოგადი მიმართულება.

დღიანას უნაგირაზე აღმოჩენილი სხვადასხვა პეტროგრაფული შემადგენლობის ალუვიონი იმის დასტურია, რომ ამ მონაკვეთზე წყალტუბოს მღვიმური სისტემის მთავარი არტერია თავიდანვე იყო ჩასახული და ტექტონიკური იმპულსების შესაბამისად წყლები ეროდრენ ერთმანეთს ხევიდან ქვემოთ გოვებდნენ რა თავის კვალს უნაგირებისა და მღვიმეების სახით. ახალი პროცესი აღბეჭდილია თავად მღვიმურ გაღვრვაშიც. მდ. გუბისწყლის აკუმულაციური რელიეფის გაანალიზების შედეგად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ რეგრესიული აკუმულაციის შედეგად ქვედა ტომოგრაფიული დონეები და აქედან გამომდინარე ქვედა მიწისქვეშა და ზედაპირული ფორმა ჩამარხული აღმოჩნდა (ლიფონავა, 1986).

II. 2 პოკლე გეოლოგიური მიხობილვა

განსახილველი ტერიტორია მოიცავს ოკრიბის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ძირითადად წყალტუბოს რაიონის ფარგლებში და მცირე მონაკვეთს ხონისა და ქუთაისის მიდამოებში. გეოტექტონიკის მხრივ პეტრე გამყრელიძის მიხედვით (1964), იგი საქართველოს ბელტის ქუთაისის ქვეხონას მიეკუთვნება, რომლის აგებულებაში მონაწილეობას იღებენ შუა და ზედაიურული, ქვედა და ზედა ცარცული, აგრეთვე პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ნალექები. სხვადასხვა მასშტაბის მკვეთრად გამოხატული ბლოკური სტრუქტურები ხუსტად წარმოდგენილი პლიკატური დისლოკაციებით - ბრაქი ნაოჭა (მოკლე ნაოჭები), უმნიშვნელო ფლექსურის მსგავსი ნალექები და სხვ., უფუხური მავმატიხმის გამოვლინება და ზოგადი ლითოფაციალური ხასიათი გამოხატულეუ ტერიტორიაზე და მასთან მისახლვრე ტერიტორიაზე მეხო-კანიონური დანალექი ქანები თვალსაჩინოდ მიუთითებენ ამ ტერიტორიის ბელტურ ხასიათზე.


ქუთაისის ქვეხონაში იურული ნალექები წარმოდგენილია პორფირიტული ვულკანოგენური ბაიოსური წყებით, ბათური ქვიშა-თხიფანი ნალექებით და ღაგუნურ-კონტინენტალური ტერიგენული და ვულკანოგენური ზედა იურული წარმონაქმნებით. შუა- და ზედა იურული ნალექები, როგორც ქუთაისურ ქვეხონაში, ისე მთელ დასავლეთ საქართველოში ამჟამად დეტალურადაა შესწავლილი რიგი მკვლევარების (ჯანელიძე, 1930, 1940; კონიუშვესკი, 1946; კახაძე, 1936, 1942, 1947; ძიწენიძე, 1948; ძიწენიძე, სხორტლაძე, ჩხევილაშვილი, 1956; ყდილაშვილი, 1965; დევიდარიანი, კვახაძე, და სხვ., 1976; ცაბაძე, 1969) მიერ.

ზედა იურული ნალექების ფერადი წყება წარმოდგენილია ვულკანოგენური დანალექი ქანებით - ბახალტებით, ტუფობრექციებით, ტუფოქვიშაქვებით და თიხებით. ქვედა ნაწილში აღინიშნება აგრეთვე არგილიტები. წყების ხიმაღლურ კარიოფის ირგვლივ აღწევს 70-80 მეტრს. წყება არ შეიცავს განამარხებულ ფაუნას და უმეტესი მკვლევარების (დევიდარიანი, კვახაძე და სხვ., 1976) მიერ დათარიღებულია

ოქსფორდულ-ტიტონური ასაკით. მდ. სემის სათავეებში, მის მარცხენა ნაპირზე ხედაიურულ ფერად წყებას რაიმე ხილული უთანხმოების გარეშე სამხრეთ-აღმოსავლეთის 150° ახიმუჯითა და 60° -იანი ვარდნით დაქანებული ვადასხვიანი ასაკის ვრაველიტების, არკოზული და წყალვადმა (ე. ი. აღმავად ჰრიდში) კირქვების დაქანების ახიმუჯი თანდათან იცვლება - მიმართულება ხდება ჯერ სამხრეთული, შემდეგ გადადის სამხ.-დასავლეთურში და შრეების ვარდნის კუთხეც თანდათან მცირდება 8.5° -მდე აპტურის ძირების სიახლოვეს სოფ. ცხუჩკურთან. ქვედაცარცული კირქვების აღნიშნული მონოკლინური განლაგება მდინარის ხედა დინებაში ზოგან დარღვეულია მკვეთრი ფლექსური გადაღუნვებით, სადაც ზოგადად სამხრეთ-სამხრეთ-დასავლური ახიმუჯისას შრეების ვარდნის კუთხე $40-50^{\circ}$ -დე იზრდება. აქვე, ხემო დინებაში აღინიშნება ერთნაირად ორიენტირებული ნახსლეტური ბუნების რამდენიმე წვეტა, დაქანების ელემენტებით (ახიმუჯი $250-270^{\circ}$, კუთხე $70-75^{\circ}$) - (ნახ. 3).



ნახ. 3. წვეტითი დახლოკაციები მდ. სემის ხემო წელში



ნახ. 4. რღვევისპირა სინკლინური ნაოტი მდ. სემის შუა წელში


მდ. სემის შუა წელში, სოფ. ცხუჩკურის მახლობლად, მდინარის მარცხენა ფერდობზე აღინიშნება ახეთივე დასავლური დაქანების წვეტა, ოღონდ ახლა უკვე შესხლეტვის ბუნების მქონე, რაც კარგად დგინდება მის ქვედა ბაგეში რღვევისპირა მომცრო სინკლინის გამოყრდნით (ნახ. 4).

ქვედაცარცულ კირქვებში კარსტული მოვლენების განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ტიპი მაინც ნაპრალოვნებაა. აქ შეიძლება გაიზრდეს სხვადასხვა გენეზისის ნაპრალები, რომელთა შორისაც დაშრეების მართობული დიაგენეტური წარმოშობის პლანეტარული ნაპრალები ყველაზე დიდი გავრცელებით ხარგებლობენ. როგორც წესი, ეს ნაპრალები ერთი შრის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ ზოგჯერ მათ შიგნით 2-3 შრის ან შრეთა მთელი დახტის გაკვეთაც აღინიშნება. ეს ალბათ მეზობელ შრეებში განვითარებული ნაპრალების შემთხვევით ურთიერთშეთავსებას ან შემდგომ ტექტონიკას უნდა მიეწეროს, უფრო გვიანდელი ტექტონიკური ბუნების ნაპრალები რაიონში ნაკლებადაა გავრცელებული. ისინი შრეების ხედაპირებს გარკვეული მახვილი ან ბლაგვი კუთხით კვეთენ და შედარებით დიდი გამწვობით ხასიათდებიან.


მაგრამ, თუკი დეფორმაციის მთავარ დაძაბულობათა რომელიმე მიმართულება დიაგენეტურ (პლანეტარულ) ნაპრალოთა რომელიმე სისტემას დაემთხვა, ან ძლიერ დაუახლოვდა, გვექნება სწორედ დაშრეების მართობული ტექტონიკურში გადახული დიაგენეტური ნაპრალის მიერ რამდენიმე შრის ან შრეთა დახტის გადაკვეთის ხემოთ აღნიშნული შემთხვევა. ასე, რომ დაშრეების მიმართ მართობულ თუ არამართობულ განლაგებას გადამწვევტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ისაა, რომ შრეებრიობის ხედაპირის მიმართ ნებისმიერი დახრისას ტექტონიკური ნაპრალი კვეთს რამდენიმე შრეს ან მათ დახტას, ესაა მისი მთავარი დიაგნოსტიკური ნიშანი.

ნაპრაღთა ზემოთაღნიშნული ტიპების შესწავლის შედეგები სტატისტიკურად შეჯამებულ და განზოგადებულ იქნა გაბატონებულ სისტემათა მიმართებით სხივური დიაგრამების სახით. დიაგრამები შედგენილ იქნა როგორც მდ. ხემზე გაკეთებული კრიდისა და ცალკეული ზედაპირული გამოშვლების, ისე ყველა მისაწვდომი მდებარეობისათვის.

როგორც ნახ. 5-დან ჩანს, მდ. ხემის ზემო დინებაში გაბატონებულია შვედი და ციციბოდდახრილი ნაპრაღების ორი მიმართულება: 1. დ-ჩდ $270-290^{\circ}$ ან ა-ჩა $80-90^{\circ}$, რომლებიც შრეთა დაქანების ახიმუტებს თანხვედება; 2. თითქმის მათი მართობული ანუ სუბპერიდიანული ჩ-ჩა $0-20^{\circ}$, რომელიც შრეების მიმართების ახიმუტის თანხვედრითაა. მეორე სისტემის ნაპრაღთა დახრის კუთხეები ცვალებადობს შრეების დახრის კუთხეების ცვლილების შესაბამისად შრეებრიობის სერეცობრივ ორიენტაციასთან ამ სისტემის მკაცრი მიბმის გამო.



ნახ. 5. ნაპრაღთა მიმართება მდ. ხემის ზემო დინებაში



ნახ. 6. ნაპრაღთა მიმართება მდ. ხემის შუა დინებაში

მდინარის შუა დინებაში, კრიდში აღმა, ზემოთ აღწერილი მოაჯარი სისტემის გარდა ჩნდება კიდევ ორი დიაგნოსტური სისტემა, მიმართებით ჩდ 330° და ჩა $20-40^{\circ}$ (ნახ. 6). მსგავსი პარამეტრები ახასიათებს ნაპრაღებს ბარემული კორქების ზედა პირიზონტებში მდ. ხემზე უფრო ქვემო დინებაში.

რაიონის ტექტონიკის მოაჯარი დამახასიათებელი ნიშანი მისი ორთარუსიანი აგებულებაა. ამიერკავკასიის ბელტის მეორე სუბსტრატზე აგებულ კამბრიუმამდელ და პალეოზოურ კრისტალურ ქანებზე წარმოდგენილია მეზოკაინოზოური დანადგეტი შრეები. წყალტუბოს კორქული მასივი მოღიახად ქვედა ცარცული კორქებითაა აგებული და უშუალოდ წარმოდგენილია ბაზალტური ქვედა ნეოკომური სქელი და ხაშუგლოფენოვანი რამდენიმე ათეული მეტრი სისქის გადოლომიტებული კორქებით, რომლებიც თანდათან ურგონული ფაციესის, 150 მ სისქის პორფირი-ბარემული მასიურ სქელშრეებრივ კორქებში გადადიან.

კორქულ მასივზე კარსტული მოვლენების ინტენსივობა და მათი არათანაბარი გამოვლინება ძირითადად ტერიტორიაზე ტექტონიკური აგებულების თავისებურებებთან არის დაკავშირებული. ეს უკანასკნელი თავის მხრივ განპირობებულია ტექტონიკური ბუნებით, ოღქის მოაჯარი სტრუქტურული ერთეულის ოკრიბის ახვევებით. კორქული მასივის განვითარება მოიცავს ოკრიბის ახვევების დასავლეთ პერიფერიას და ხასიათდება მონოკლინარული სამხრეთ-აღმოსავლური ვარდნილ მცირე სიღრმეზე მდებარე კრისტალურ ფუნდამენტზე დანადგეტი ზეწოთ და გართულებული სუბგანივი ბრაქიფორმული დევიის, გელავერის, დეკორის და სხვ. პლიკატური დისლოკაციებით.

ტერიტორიის სერეცობრივ შრეებში კი ბაზალტური დაიკების შემოსვლას აქვს ადგილი. ისინი ხშირ შემთხვევაში რელიეფის დადებით ფორმებს წარმოქმნიან და როგორც წესი მიწისქვეშა სიღრუეთა მიმართულებებს და შესაბამისად მათ ორიენტირებასაც აკონტროლებენ (ლიფონავა, 1985).

წყალტუბოს კორქეული მასივის ჩრდილო ნაწილი ღვედის რღვევის მიერ 120 მეტრით არის აღწეული. მაგ., ტექტონიკურად ქვედა ნოსელას (930-960 მ) საფეხურიდან ნიხლისჯვარის ეროზიულ-დენუდაციური ნაშთი 1077 მეტრამდეა ახიდილი, რაც 15 კმ მანძილზე შეინიშნება. სხვებულ რღვევასთანაა დაკავშირებული მდ. სემის ზემო წელი, ხადაც მდინარის ხეობა სუბგანედური მიმართულებიდან მკვეთრ ბრუნს აკეთებს დიდვაკის მონოკლინურ ვაკეზე რელიეფის მსხვილი ფორმები (ყოწრო წყალგამყოფები, ფართოფსკერიანი ხეობები) პირვანდელ ანუ რღვევამდელ მიმართულებებს იხარჩუნებენ. მელოურის პლატოზე ნაპრალოვნების ეფექტი თანდათან ქრება, თუმცა რღვევების გახსვრივ მოგრძო კარსტული ძაბრები და მწიხსიქვეშა ხიდრუეები არიან ჩამოყალიბებული.

მელოურის მადამოებში ხატარებული ზედაპირული გაზომვებით ირკვევა, რომ აქ გაბატონებულია შვეული და ციცაბოდვარდნილი ნაპრალების (შესაბამისად შრეების მიმართებითა და დაქანებით ორიენტირებული) ჩრდილო-აღმოსავლური (10-15⁰) და დასავლურ-ჩრდილო-დასავლური (285-290⁰) მიმართულება. გამოირკვა, რომ შრეების დაქანების ახიმუკით მიმართული ნაპრალები, მცირე გამოჩანაგლისის გარდა, მკვეთრად შვეულია. რაც შეეხება შრეთა მიმართების თანხვედრულ ნაპრალებს, ისინი უმთავრესად ციცაბოდ დახრილებს განეკუთვნება, მაგრამ თავისი ბუნების გამო მათი დახრის კუთხეები შრეების დახრის კუთხეების უკუპროპორციულია.

II. 3. კლიმატური პირობანი

კარსტული პროცესების მსვლელობა და ინტენსივობა, მსგავსად ვეზოვენური პროცესებისა, ზონალურობის კანონს ემორჩილება ანუ კლიმატის ცვალებადობასთან არის დაკავშირებული. ჯერ კიდევ 1915 წელს, ცნობილი კარსტოლოგი აღ. კრუბერი (1915) მოუთხოვდა ატმოსფერული ნალექების მნიშვნელოვან როლზე კარსტული პროცესების განვითარებაში. მოგვიანებით ეს აზრი მრავალი მკვლევარის (შშუკინი, 1926; გვოსდუკკი, 1952, 1965) მიერ მეცნიერულად იქნა დასაბუთებული.

საქართველოს ტერიტორიის კლიმატური დარაიონებით (კორძახია, 1961; ჯავახიშვილი, 1977; წიქარიშვილი, 1985) წყალტუბოს კორქეული მასივი და მიმდებარე ტერიტორია ჩრდიო სუბტროპიკული კლიმატის ოდქს მიეკუთვნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ზამთარში კაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 6,3⁰C, ზაფხულში – 23⁰C-ია. წლის თბილ პერიოდში მოხული ატმოსფერული ნალექები 850-1000 მმ აღწევს; მაქსიმუმი – ოქტომბერში (194 მმ) დაიკვირდება. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1575 მმ-ს შეადგენს. აქედან წლის განმავლობაში მოხული ნალექის 29% ზამთრის და აძღვნივე გაზაფხულის თვეებზე მოდის, ზაფხულში უმნიშვნელოდ მცირდება და 25%, ხოლო შემოდგომაზე – 32%-ს შეადგენს (ცხრ. 1).

ცხრილი 1

წყალტუბოს კორქეული მასივის კლიმატური ელემენტების დახასიათება

თვე	კაერის ტემპერატურა გრადუსებში			ნალექები, მმ	კაერის შეფარდებითი სინოტივე	ქ ა რ ა	
	აბსოლუტური მაქსიმუმი	აბსოლუტური მინიმუმი	საშუალო მრავალწლიური			მანძილულები	სინქრუო/სა
I	22	-19	5,3	184	75	W, E	1,5
II	26	-18	6,0	132	70	- " -	1,9
III	33	-12	8,7	165	75	- " -	1,4

IV	36	-4	13,9	115	73	-"	1,4
V	38	-1	18,1	79	74	-"	1,6
VI	40	7	21,1	171	69	-"	1,2
VII	42	10	23,3	85	75	-"	1,3
VIII	42	10	23,8	139	70	-"	1,1
IX	42	3	20,6	101	75	-"	1,6
X	35	-4	16,3	194	71	-"	1,0
XI	31	-12	11,3	72	72	-"	1,0
XII	26	-17	7,3	138	71	-"	1,0
საშუალო წელიწადი	42	-19	14,6	1575	73	-"	1,4

მასივსაბოთის ხშირია ხანმოკლე თავსხმა წვიმები.

პაერის შეფარდებითი სინოტივე წლის განმავლობაში 69-75%-ის ფარგლებში იცვლება, საშუალო წლიური კი 73%-ს შეადგენს.

მზის ჯამური რადიაცია მოელ ტერიტორიაზე თითქმის თანაბრად არის განაწილებული და 130 კკაღ/სმ²-ის ტოლია. 10°C-ზე მაღალი ტემპერატურების ჯამი 4000-4400°C-ია. აქედან შეიძლება დაეასკვნათ, რომ ტერიტორიის მაღალი თერმული მანქენებლები განაპირობებენ კარსტული პროცესების ენერგიულ განვითარებას, რაზეც თავის დროზე ნ. გვოზდევცი (1972) მიუთითებდა.

II. 4. კორქული მასივის ლანდშაფტში თავისებურება

წყალტუბოს კორქული მასივის გორაკ-ბორცვიან ზოლში ფართოდაა წარმოდგენილი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც არსებული კლასიფიკაციის (Породы горные, 1975) მიხედვით დასავლეთ საქართველოს ოლქის კორდიან-კარბონატული ნიადაგების ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომელთა თავისებური ხასიათი აღნიშნული იყო ჯერ კიდევ დოქტრანეისა და სიბირცევის მიერ, მიეკუთვნებიან ინტრაზონალური ნიადაგების ჯგუფს. მათი თავისებურება განპირობებულია დედა ქანების ქიმიური შემადგენლობით, სახელობრ, ეს ნიადაგები ფორმირდებიან კორქებში, მერგელებსა და კორქიან-კონგლომერატებში. დასავლეთ საქართველოში კარსტულ ზოლში ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები წარმოდგენილია შედარებით მცირე სიმძლავრით და საკმაოდ ქვიანი სახესხვაობებით, რომელიც უმეტესად ფერდობებზე არიან წარმოდგენილი.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები ჭრილში არაერთგვაროვნია, ე. ი. მათში ყველა პორიზონტი არ არის წარმოდგენილი. ასეთი ნიადაგების სიმძლავრე ჩვეულებრივ 30-40 სმ არ აღემატება. ამ სიღრმის ქვევით იწყება კორქული ფენა, ან კორქული ქანების მეტად მაღალი შემცველობა.

მათში კუმულის ოდენობა წმირად 9-10%-ია. შესაბამისად დაბალია აზოტი, ხოლო ფოხლორი ჰაშუადლო რაოდენობითაა წარმოდგენილი. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, ძირითადად კაღცოქემის ხარჯზე, ხასიათდებაან მაღალი შმთინოქმელ უნარიანობით.

საკვლევი ტერიტორიის ნიადაგები არ გამოირჩევიან განსაკუთრებულობით, ამიტომ ხვეწს შიერ ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების აღწერასთან ერთად ვიბღვეუთ შურწ ტყის გაეწრებუღი ნიადაგების მონაცემებსაც (ცხრ. 2-5).

ცხრილი 2

ნიადაგების ქიმიური ანალიზის შედეგები

კრღღის №	ნიუშის აღების სღღრმე, სმ	კუმუ- სი, %	№, %	PH	%	ძირითადი შმთინოქმელი შე მ.მ.100 გრ ნიადაგში			საქრობო ში		მე 100 გრ. ნიადაგში		
						წელი	-	-	ჯამ ი	კაღცი- ული	სის- არი	ცი- ლა- ლი	
1	0-10	0,13	6,3	-	-	28,1 0	7,65	35,7 5	1,7	0,22	11,2	6,24	12,6 4
	23-33	0,97	0,05	6,4	-	36,2 6	5,74	42	0,8	0,23	8,40	9,36	9,82
	55-65	0,75	0,04	7,0	-	39,2 3	3,83	43,0 6	1,9	0,31	7,22	7,8	6,30
	90-100	-	-	7,5	3,85	36,3 6	4,72	41,0 8	-	-	-	-	-

ცხრილი 3

გრანულომეტრიული (მრიცხველი) და მიკროაგრეგატული (მნიშვნელი) შემცველობა

კრღღის №	ნიუშის აღების სღღრმე, სმ	ფრაქცია %, აგრეგაცია ზომები, მმ						
		1-0,25	0,25-0,05	0,05-0,01	0,01-0,005	0,005-0,001	0,001	0,01
1	0-10	1,38	5,60	16,39	17,52	14,06	45,05	76,63
		2,60	20,36	24,84	22,84	15,69	13,64	52,17
	23-33	0,96	6,83	17,60	9,15	18,47	47,01	74,63
		2,06	26,68	24,09	12,80	18,22	16,85	47,17
	55-65	2,76	13,74	10,70	10,28	19,84	42,68	72,80
90-100	5,11	29,32	22,06	10,48	17,97	15,06	43,51	
	4,05	11,67	28,91	2,62	10,94	41,81	55,37	
		6,38	23,15	45,22	3,84	8,30	13,31	25,25

ნიადაგების ქიმიური ანალიზის შედეგები

ქროლის №	ნიმუშის აღების სიღრმე, სმ	მუქუხისა, %	№, %	PH		%	ძირითადი მნიშვნელოვანი მკ, მკმ/100 გრ ნიადაგში			საერთო %		მკ/100 გრ ნიადაგში		
				წყლ	-		-	-	ჯამი	ფოსფორი	სერითი	კალციუმი		
2	0-10	3,12	0,09	6,8	6,2	-	20,09	3,83	23,92	1,9	0,30	16,8	6,76	9,14
	16-26	1,02	0,04	6,2	5,7	-	15,31	2,87	18,18	2,4	0,11	11,5	5,72	6,00
	40-50	0,65	0,04	5,4	5,0	-	15,31	4,78	20,09	1,1	0,19	8,40	6,24	8,17
	70-80	-	-	5,4	5,1	-	9,59	5,74	15,33	15,33	-	-	-	-
	120-130	-	-	5,7	5,2	-	13,39	5,74	12,33	12,33	-	-	-	-

ტყის ყომრადი გაეწრებული ნიადაგები მუქუხისა და აზოტის, აგრეთვე კალიუმისა და ფოსფორის შედარებით მცირე შემცველობით ხასიათდება. შათში სტრუქტურების ფენა ხუსტადაა წარმოდგენილი. გაეწრების პროცესი მნიშვნელოვნადაა გამოხატული (შობატებულია რკინა-მარგანეცის კონკრეციები). ნიადაგები არაკარბონატულია.


გრანულომეტრიული (მრიცხველი) და მიკროაგრეგატული (მნიშვნელი) შემცველობა

ქროლის №	ნიმუშის აღების სიღრმე, სმ	ფრაქცია %, აგრეგატის ზომები, მმ						
		1-0,25	0,25-0,05	0,05-0,01	0,01-0,005	0,005-0,001	0,001	0,01
2	0-10	18,67	7,62	22,79	16,28	18,54	16,10	50,92
		19,44	14,71	27,58	10,90	23,33	4,34	38,22
	16-26	3,85	3,97	22,73	5,20	26,17	38,06	63,43
		6,15	22,22	34,69	7,32	28,33	1,29	36,94
	40-50	2,54	7,40	21,42	9,36	23,84	35,44	68,64
		7,55	26,93	29,91	5,33	23,58	6,70	35,61
	70-80	3,30	3,48	13,85	10,40	21,42	47,55	79,37
		3,37	34,44	26,41	8,16	16,35	11,27	35,78
	120-130	2,21	4,23	10,15	12,23	17,14	54,04	83,41
		2,68	31,68	32,03	8,90	17,64	7,07	33,61

საშუალო სიმძლავრის ნეშომპლდა-კარბონატული ნიადაგები თავისი თვისებებით ახლოსაა ნეშომპლდა-კარბონატულ გაწვრებულ ნიადაგებთან; ნიადაგის ზედა პირიხინტებში რეაქცია ნაკლებმჟავიანი ან ნეიტრალურია.

საველე და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად საკვლევი ტერიტორიის ნიადაგები რამდენიმე ტიპად შეიძლება დაიყოს: 1. საშუალო სიმძლავრის, სუსტად გაწვრებული კორდიან-კარბონატული; 2. საშუალო სიმძლავრის კორდიან-კარბონატული; 3. გამოტუტვილი, კორდიან-კარბონატული, მცირე ქვიანი; 4. ტყის შურა გაწვრებული ნიადაგები; 5. ნაკლები სიმძლავრის, საკმაოდ ქვიანი კორდიან-კარბონატული ნიადაგები.

აღამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით ტერიტორიის მცენარეული საფარი შემადგენლობის მიხედვით ძლიერ სახეშეცვლილია და შემცირებულია მათი გავრცელების არეალი. ძირითადად გაბატონებულია კულტურული ღანღშაფტი, რომელსაც ქმნის ჩაის პლანტაციები, დაფნა, ხილის ბაღები, სიმინდის ყანები და ბოსტნები. ბუნებრივი მცენარეულობა შემორჩენილია ძირითადად ხრდილო-აღმოსავლეთ, ძნელად მისადგომ ადგილებში. ფონს ქმნის ქართული მუხა, იმერული მუხა, რცხილა, მურყანი, ჯაგრცხილა, თელა, წაბლი, კაკალი. ძველებში გვხვდება იელი, კუნელი, ჭანჭყაძა, თხილი, ანწლი, მარადმწვანე ბზა, კურო, წყივი და სხვ. ბევრია ღიანები და ბაღახმცენარეულობა, ნატყურებზე ვეძირა, მაყვანი, კაკალიჭი და ა. შ. ყურადღებას იპყრობს შემოტანილი და შემდგომ სტიქიურად გავრცელებული აკაციის ხეები, აგრეთვე ნარგავები, მათ შორის კარბოზს ფიჭვი.



ნახ. 7. წყალტუბოს მდვიური სისტემის მდამოების ღანღშაფტური რუკა

მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, ხეუნს მიერ შევროვილი მასალებისა და არსებული ლიტერატურული წყაროების (ხანებლიძე, უკლება, ჯაფელი, 1970; უკლება, 1979, 1983) ანადიხის საფუძველზე წყალტუბოს კორქული მასივის ტერიტორიაზე

